საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7123/01
08/07/2021

7123-01-2-202107081750

შპს „ვესტ ჯორჯიას“
მის: ქ. ზუგდიდი, სანქტ-პეტერბურგის ქ. N17
ელ. ფოსტა: datosichinava@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება (N5584; 30.03.2021), რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელი ჯუმის (კოლხიდა) მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, რომლის თანახმადაც, მდინარე ჯუმის მარჯვენა სანაპიროსთან შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე და ასფალტის საამქროს მუშაობისას გამოწვეული ძლიერი სუნი საფრთხის შემცველია მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. გიგზავნით აღნიშნულ განცხადებას, გთხოვთ გვაცნობოთ მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია.

ასევე ვინაიდან საწარმოს ტერიტორია მდებარეობს დასახლებული პუნქტისა და საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს (უახლოესი საცხოვრებელი სახლი - 370 მ), საჭიროა სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს საწარმოს გავლენის ზონაში არსებულ მოსახლეობასთან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით კომუნიკაციის (მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის (**სიხშირის**) პროცედურების შესახებ, შესაბამისი მარშრუტის მითითებით და ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი; ინფორმაცია საწარმოს, მათ შორის ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სამუშაო რეჟიმის შესახებ (სამუშაო დღის დაწყების და დასრულების საათის მითითებით);

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე